



## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150  
0112 თბილისი, საქართველო  
+995 32 2439503 / +995 32 2439510  
info@nea.gov.ge  
nea.gov.ge

20 აგვისტო 2024



N 21/8911

### შპს „ჯორჯია უნივერსალს“

მის: ქობულეთის რაიონი, სოფ. ქვედა კვირიკე, მე-3 ქ, №10  
ელ. ფოსტა: [Georgiainiversal2018@gmail.com](mailto:Georgiainiversal2018@gmail.com)

### სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი №7706 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხუცუბანში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი და ბეტონის საწარმოების ექსპლუატაციას და გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დაზუსტებას საჭიროებს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი და ბეტონის საწარმოების წლიურად გადასამუშავებელი ნედლეულისა და მიღებული პროდუქციის რაოდენობა, ასევე მოცემული უნდა იყოს სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის საათური წარმადობა. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში დასაზუსტებელია სასაქონლო ბეტონის დამამზადებელი საწარმოს ნედლეულით მომარაგების და ასევე, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელ საწარმოში წარმოქმნილი პროდუქციის შემდგომი მართვის საკითხები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს, ასევე, სასაქონლო ბეტონის დამამზადებელი საწარმოს შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტები (სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი, სასაწყობე მოედანი, სილოსი და სხვა) და მათი განთავსების GPS კოორდინატები, გენგეგმაზე დატანით;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის ორივე ტექნოლოგიური ხაზისთვის გათვალისწინებული წყლის წლიური რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, ასევე, როგორც აღებული, ისე ჩაშვებული წყლის რაოდენობა. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები;
- დოკუმენტის მე-11 გვერდზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით, „ობიექტის ტექნიკური წყალმომარაგებისთვის (ბრუნვითი წყალმომარაგება) პროექტით ხორციელდება წყალაღება ხელოვნური წყალსატევიდან“, თუმცა ამავე გვერდზე ასევე ნათქვამია, რომ „შეთანხმებული ტექნიკური რეგლამენტის თანახმად წყალჩაშვებაც აღნიშნულ ხელოვნურ წყალსატევეში ხორციელდება“. ასევე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული კორესპონდენციის თანახმად, საწარმოო ჩამდინარე წყლები, სამკამერიაანი სალექარიდან, სანიაღვრე არხის გავლით, ჩაედინება მდ. კინტრიშში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოო ჩამდინარე წყლების წყალჩაშვების წერტილი და მისი მართვის საკითხი. ასევე დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ობიექტზე მოწყობილი სალექარის ტექნიკური პარამეტრების შესახებ ინფორმაცია (სალექარის ეფექტურობა, სიგრძე, სიგანე, სიმაღლე და ა.შ.);

- დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების წარმოქმნისა და ასევე მათი შემდგომი მართვის საკითხი;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშების შედეგები, კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით;
- წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საბადოდან ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლებელია დღეში 20 სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელება. თუმცა, დოკუმენტში მითითებული არ არის, თუ რომელი საბადოდან განხორციელდება საწარმოს ნედლეულით მომარაგება.

ტექნიკური სახის ხარვეზები:

- დოკუმენტის 3.15 თავში მითითებულია, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორია (სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია) მდებარეობს ჩრდილოეთის მიმართულებით, დაახლოებით 850 მეტრის დაშორებით. ამასთან, 2.1 ქვეთავში მითითებულია, რომ სახელმწიფო ტყის ფონდი საკადასტრო საზღვრიდან ჩრდილოეთით დაშორებულია 885 მეტრით;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 36 მეტრში მიედინება მდ. კინტრიში. თუმცა, 31-ე გვერდზე წყალდაცვითი ზოლის შეფასებისას საუბარია მდინარე ქსანზე, რაც საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის ანგარიშის მე-3 გვერდზე მითითებულია სკოპინგის ანგარიში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/8911-21-2-202408201711>

